ა ნ გ ა რ ი შ ი

(დეპარტამენტის მიერ 2013 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ)

დეპარტამენტის მიერ, მითითებულ პერიოდში, უზრუნველყოფილ იქნა შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამართალშემოქმედებითი საქმიანობისთვის ხელშეწყობის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესწავლა-ანალიზის საფუძველზე გადაისინჯა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის მოქმედი ნორმატიული აქტები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებიდან შემოსულ **62** ნორმატიულ აქტის პროექტს უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ჩაუტარდა სამართლებრივი ექსპერტიზა. (იხ. დანართი 2)

სამართალშემოქმედების მიმართულებით შემუშავებულ იქნა:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;

ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესებისა და დეპარტამენტში ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვის, ასევე, სტაჟირების (პრაქტიკის) გავლის პროცესის აქტიური და ეფექტიანი გამოყენების მიზნით შემუშავებულ იქნა:

- ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2009 წლის 12 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენის მიზნით შემუშავებულია:

-„ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი;

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2009 წლის 12 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების თაობაზე“.

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან საქართველოს საარჩევნო კოდექსში და საქართველოს სხვა კანონპროექტებში ცვლილებების პროექტის

მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 2013 წლის 12 ნოემბრის #57-პ დადგენილების თანახმად, დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვაში.

ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზისა და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, დეპარატმენტის მიერ უზრუნველყოფილ იქნა გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შემოწმება, გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფუძვლების აღმოფხვრის მიზნით და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე 60 ნორმატიული აქტის გამოქვეყნება (იხ.დანართი 3).

მოგეხსენებათ, რომ დეპარტამენტი 2005 წლიდან დღემდე აწარმოებს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმიანობის მართვას, საქმისწარმოების სრულყოფასა და საარქივო საქმის განვითარებას; აფხაზეთის საარქივო ფონდის დოკუმენტების, განურჩევლად მათი შენახვის ადგილისა, მათ შორის აფხაზეთის საარქივო ფონდში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების), აღრიცხვის, დაცვისა და შენახვის, აგრეთვე საქმისწარმოებაში არსებული წესების დაცვის კონტროლსა და ზედამხედველობას; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობას; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებათა არქივებისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის სრულყოფას, ეროვნული არქივის დებულების მე-3 მუხლის ,,ზ.ზ” ქვეპუნქტის შესაბამისად, განახორციელა შემდეგი სამუშაოები და ღონისძიებები:

ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების დარგში -

ჩატარდა არქივის სამმართველოში დაცული დროებით შესანახი (6 წლის ჩათვლით) საბუღალტრო დოკუმენტების მიზნობრივი შემფასებელი ექსპერტიზა (დოკუმენტებს, რომელთაც გაუვიდა ადგილზე შენახვის დადგენილი ვადები), სულ გასანადგურებლად გამოყოფილ იქნა 10 (ათი) დაწესებულების ფონდები N (2, 22, 24, 26, 28, 29, 31, 33, 34, 36) 2000-2006 წლების 171 (ასსამოცდათერთმეტი) საქმე, რაზედაც შედგა სათანადო აქტები, რომლებიც მოწონებულ იქნა არქივის განყოფილების საექსპერტო კომისიის მიერ (14.02.2013 ოქმი N 1).

სათანადო კონსულტაცია და დახმარება გაეწია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს საქმეთა ნომენკლატურის შედგენასა და საექსპერტო კომისიისა და არქივის დებულებების შემუშავებაში, რომლებიც შეთანხმებულ იქნა არქივის სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიასთან (21.06.2013; ოქმი N 1).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის განყოფილების მიერ 2013 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო დაცვაზე მიღებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1995-2006 წლების დაუმუშავებელი დოკუმენტები და საქმეები. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული ფონდის (ფონდი.N 45) დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა და მათი სამეცნიერო-ტექნიკურ წესრიგში მოყვანა.

დოკუმენტების გამოყენების დარგში - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის სამმართველოს მიერ 2013 წელს სულ გაცემულ იქნა **670** (ექვსასსამოცდაათი) სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობა, აქედან 193 (ასოთხმოცდაცამეტი) - უარყოფითი და 477(ოთხასსამოცდაჩვიდმეტი) - დადებითი პასუხით.

პასუხი გაეცა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხთა სამმართველოს თემატურ შეკითხვას - აფხაზეთის რკინიგზის საკითხებზე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დოკუმენტურ ფონდში მოძიებულ იქნა 2005-2006, 2008 წლების საარქივო მასალები, აღნიშნული საკითხის შესახებ.

დახმარება გაეწია მკვლევარს, სსიპ სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორანტს, რომელიც მუშაობდა თემაზე აფხაზეთის ენობრივი სიტუაცია მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის თანამშრომლების მიერ სულ ჩაიკერა 22 (ოცდაორი) საქმე, საქმეები ფორმირებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად.

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის N10 დადგენილებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის განყოფილება 2013 წლის პირველი მაისიდან რეორგანიზებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის სამმართველოდ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამმართველო მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის სამმართველოს დებულებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის დებულების პროექტებზე.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვის და სამეცნიერო საცნობარო აპარატის შექმნა-გაუმჯობესების დარგში:

გაცემულ იქნა მეთოდიკური მითითებები და ჩატარდა თათბირ-სემინარები „საარქივო ფონდისათვის ნომრის მიკუთვნების შესახებ“ და მეთოდიკური რეკომენდაციები „ეროვნული არქივის ტერიტორიულ ორგანოში დაცული საარქივო ფონდების ანაწერთა მდგომარეობისა და ხარისხის ანალიზის ჩატარების შესახებ“ პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.

საქართველოს ეროვნულ არქივს წარედგინა სტატისტიკური ანგარიში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის სამმართველოში დაცული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვის ორგანიზაციის შესახებ (ფN3, არქივის პასპორტი) და ცნობები ფონდების შემადგენლობისა და მოცულობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ. ასევე ეროვნული არქივის ცენტრალურ საფონდო კატალოგში ჩასართავად წარმოვადგინეთ არქივის სამმართველოში დაცულ დოკუმენტებზე ფონდის ბარათები.

უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივსაცავში განსაკუთრებულ ღირებულ დოკუმენტების გამოვლენა. სულ შედგენილ იქნა 100 (ასი) თემატური საკატალოგე ბარათი: გალის რაიონის, კოდორის (დალის) ხეობის, დევნილთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ომის შემდგომ დარჩენილი სახელმწიფო ქონების შესახებ.

დაცულ იქნა ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

დეპარტამენტში შეიქმნა ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის სამმართველოში დაცული დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემმოწმებელი კომისია“. კომისიის ფუნქციონერებისათვის შექმნილ იქნა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამუშაო გეგმა (ცხრილი). შესწავლილი იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოში სახელმწიფო დაცვაზე არსებული 2460 დაცული დოკუმენტების არსებობა და მდგომარეობა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გატარებულ აქციას-დევნილთათვის (ID ბარათის) ელექტრონული მოწმობის საფასურის გარეშე გაცემამ, მოითხოვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის სამმართველოს სრული დატვირთვით მუშაობა. რაც გამოწვეულია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილებების სამოქალაქო აქტების (დაბადების, მამობის

დადგენის, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინების, სახელის ან/და გვარის შეცვლისა და გარდაცვალების) შესახებ არქივის სამმართველოში დოკუმენტების დაცვით.

ამჟამად მიმდინარეობს დიგიტალიზაციის პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით პროექტის შემუშავება.

მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთის სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობის მხრივ დეპარტამენტი 2004 წლიდან ახორციელებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის წარმოებასა და მათ გამოქვეყნებას აფხაზეთის ა/რ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ,,აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნეში.“ შესაბამისად, იუსტიციის დეპარტამენტს გააჩნია სრული ბაზა 2004 წლიდან დღემდე გამოცემულ-გამოქვეყნებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი აქტებისა (მათ შორის ძალადაკარგულების).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი, კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობის მიზნით, დეპარტამენტმა განაახლა დეპარტამენტის ვებ-გვერდი abkhaziajustice.gov.ge, რომელზეც ელექტრონული ფორმით განხორციელდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ნორმატიული აქტების განთავსება.

ამასთან, დევნილი მოსახლეობის კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტის საიტზე განთავსებულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: დევნილთათვის დაწესებული მოთხოვნები და შეღავათები, მოთხოვნები საპენსიო კანონმდებლობის შესახებ, პირადობისა და პასპორტის ასაღებად საჭირო დოკუმენტების ნუსხა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა, მოქალაქეობის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები, ასევე განათლების სფეროსა და ნოტარიატთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების სიახლეები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიმღებ პირებზე ფოტოიდენტურობის დადასტურების მიზნით, შესაბამისი კომისიის მიერ, შესწავლილ იქნა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურიდან შემოსული მასალები და უფლებამოსილი პირის ფოტოიდენტურობის დადასტურების თაობაზე არსებული და მოპოვებული ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე სულ დადასტურდა 19 პირის ფოტოიდენტურობა.

საანგარიშო პერიოდში შემუშავებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების უფლებამოსილი პირების რეესტრი (ელექტრონული ბაზის ფორმირება).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევისა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტმა, როგორც აფხაზეთის მთავრობის დაწესებულებამ, მითითებულ საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებსა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, კომპეტენციის ფარგლებში, გაუწია იურიდიული ხასიათის საკითხებზე კონსულტაციები.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებიდან და მოქალაქეებიდან დეპარტამენტში შემოსულ არაერთ წერილზე მომზადდა სათანადო პასუხი; ხოლო შრომითი სტაჟის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით შედგენილ იქნა შესაბამისი ადმინისტრაციული სარჩელები სასამართლოში წარსადგენად,

აგრეთვე, დახმარება გაეწია დევნილ მოქალაქეებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის თაობაზე სათანადო განცხადებების შედგენაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ იუსტიციის დეპარტამენტის მიერ პროგრამა „სამშობლოსათვის მარადისობაში“ ფარგლებში, ორგანიზებულ იქნა დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებთან შეხვედრები, სატელევიზიო გადაცემები და სხვა ღონისძიებები.

დეპარტამენტის კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების ფარგლებში გატარდა შემოსული - 372 და გასული 274 წერილი; უზრუნველყოფილ იქნა დეპარტამენტის თანამშრომელთა პირადი საქმეების აღრიცხვა-წარმოება.

ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესებისა და დეპარტამენტში ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი დარეგისტრირდა საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე, როგორ დამსაქმებელი. აღნიშნული ვებ-გვერდის საშუალებით გამოცხადდა კონკურსი სტაჟირებაზე. შემოვიდა 173 განაცხადი, გადარჩეულ იქნა წარმატებული კანდიდატები.

ამასთან, საგულისხმოა, რომ დეპარტამენტი უშუალო მონაწილეობას ღებულობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში დაწყებული სამთავრობო უწყებების ოპტიმიზაციის პროცესში.